ქალაქ თბილისის

საკრებულო

www.tbsakrebulo.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს მაჟორიტარი წევრის

ქეთევან ჯოხაძის

2021 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ:

2017 წლიდან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი (გლდანის რაიონი - მუხიანი) , ფრაქცია "კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრის" თავმჯდომარე, ასევე განათლებისა და კულტურის, ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების წევრი

საკრებულოს სხდომებში, კომისიებსა და ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა საკრებულოს 22 და ბიუროს 25 სხდომა, მიღებულ იქნა 547 განკარგულება და 111 დადგენილება. აქედან დავესწარი საკრებულოს 18 სხდომას. საკრებულოს სხდომებზე აქტიურად გახლდით ჩართული დედაქალაქისა და მისი მოსახლეობისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში.

ფრაქცია „კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრი“

2020 წლის 14 დეკემბრიდან გახლავართ ფრაქციის „კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრის“ თავმჯდომარე, ფრაქციის წევრები იკრიბებიან მინიმუმ თვეში ერთხელ, სხდომაზე განიხილება დედაქალაქში მიმდინარე მნიშვნელოვანი საკითხები და ჯერდება პოზიციები.

ფრაქცია „კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრი-ს“ მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 11 სხდომა, განხილულ იქნა 17 საკითხი. სხდომაზე განხილულ იქნა ისეთ საკითხები როგორიცაა:

1. ქ.თბილისის 2021 წლის ბიუჯეტი.
2. თბილისში, ნუცუბიძისა და ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის ზემოთ, მთის ფერდზე გაჩენილი მეწყრული ბზარები.
3. დედაქალაქში გარე რეკლამის სფეროს რეგულირების საკითხი.
4. თვითმმართველობაში არსებული საკანონმდებლო და პრაქტიკული ხარვეზები.
5. თბილისში, ნუცუბიძისა და ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის ზემოთ, მთის ფერდზე გაჩენილ მეწყრულ ბზარებზე მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.
6. დედაქალაქის ბიუჯეტში მიმდინარე წელს შემავალი ცვლილებები.
7. გარე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული აუქციონი.

კომისიური მუშაობა:

განათლებისა და კულტურის კომისია,.

2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით გაიმართა განათლებისა და კულტურის კომისიის 11 სხდომა, რომელზეც დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 17 საკითხი.

კომისიამ წლის დასაწყისში იმსჯელა დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტზე და იმ პრიორიტეტულ საკითხებზე, რომლებიც განათლებისა და კულტურის მიმართულებით იქნა ასახული 2021 წლის ბიუჯეტში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა მათ შორის
სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობის ქვეპროგ რამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალ ისებისა და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების წესში .

ცვლილების მიხედვით სარეიტინგო ქულა, რომელიც განსაზღვრული იყო 70 ათასი და ქვევით, 150 ათასამდე გაიზარდა. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით, კიდევ უფრო მეტი სტუდენტის სწავლების საფასურის გადახდა გახდა შესაძლებელი. აღნი შნული ცვლილების განსახორციელებლად გამოიყო 1 მლნ 300 ათასი ლარი.

ამასთან ერთად, ცვლილება შევიდა ასევე არა სოცილაურად დაუცველი სტუდენტების წახალისების წესშიც, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს, რომლებიც 6 თვე არიან რეგისტრირებული მუნიციპალიტეტში, მაგისტრატურის ეტაპზე სწავლობენ და გამოირჩევიან მაღალი აკადემიური მოსწრებით ყველა საგანში, სწავლების გადასახადის ნაწილი დაუფინანსდათ.

ახალი 101 -ე საბავშვო ბაღი გაიხსნა გლდანის მე-6 მიკრორაიონში. ბაღს აქვს გამწვანებული ეზო სათამაშო მოედნებითა და ატრაქციონებით. აღსაზრდელები N101 საბავშვო ბაღში ჯანდაცვის სამინისტროს მიერ Covid 19-ის გავრცელების პრევენციისთვის განსაზღვრული რეგულაციების სრული დაცვით მიიღეს.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის ინიციტივით ახალი პროექტი - „პოეტები თბილისის ქუჩებიდან“ განხორციელდა, რომლის მიზანი ცნობილ ქართველ მწერლებთან დაკავშირებული აქამდე უცნობი დეტალების წარმოჩენა, საცხოვრებელი მისამართების მოძიება და იმ ეპოქის გაცოცხლება გახლავთ , რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ.

პროექტის ფარგლებში პირველი ღონისძიება სახელწოდებით „ტერენტი, როგორც მხ ატვარი“იმ სახლის ეზოში გაიმართა, სადაც ტერენტი გრანელი 1925 – 1931 წლებში ცხოვრობდა და პოეტის მხატვრობას მიეძღვნა.
საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კიდევ ერთი პროექტი „პანდემია, როგორც შესაძლებლობა“. პროექტის მიზანი გახლდათ პანდემიიის პერიოდის პოზიტიურ ჭრილში განხილვა და ბავშვების დახმარება იმ იდეების, სიახლეების , საინტერესო გეგმების რეალიზაციაში, რომლებიც პანდემიის პერიოდში დაუგროვდათ.

აღნიშნულ პროექტში კონკურსის ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი ადგილი N203, მეორე ადგილი - N115 და მესამე ადგილი N138 საჯარო სკოლებმა მოიპოვეს. ნომინაციაში ,,ჟიურის სპეციალური აღნიშვნა'' გამარჯვებულად დასახელდა N 16 საჯარო სკოლა, „ხალხის რჩეული“ კი გახდა N 172 საჯარო სკოლა.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია.

2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის სექტემბრის ჩათვლით გაიმართა კომისიისა 14 სხდომა სადაც განხილულ იქნა 22 საკითხი.

კომისიამ წლის დასაწყისში დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტზე იმსჯელა და იმ ცვლილებეზე რაც იქნა ასახული 2021 წლის ბიუჯეტში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის წევრებმა, ახალი კორონა ვირუსის პანდემიიდან გამომდინარე თბილისში მცირე და საშუალო ზომის სარესტორნო ბიზნესისათვის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე იმსჯელეს .

ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილების, წინადადებების და საჩივრების განხილვის შესახებ ინფორმაცია

2017 წლიდან გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს VI მოწვევის მაჟორიტარული წესით არჩეული წევრი (გლდანის რაიონი - მუხიანი)

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის № 5-4 დადგენილების 151-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა.

წარმომადგენლობის მიზანია მოსახლეობისათვის საკრებულოს მაჟორიტარ წევრთან შესაბამის საარჩევნო ოლქში კომუნიკაციის ხელმისაწვდომი პლატფორმის არსებობა.

წარმომადგენლობა შეისწავლის ჩემს სახელზე შემოსულ წერილებსა და განცხადებებში დასმულ პრობლემატურ საკითხებს და ჩემი გადაწყვეტილების მიხედვით რეაგირებას ახდენს მათზე. საანგარიშო პერიოდში შემოსულია 500-მდე განცხადება, რომლებიც რეაგირებისთვის გადაგზავნილია შესაბამის უწყებებში. შემოსული წერილების უმეტესი შემოსული წერილების უმეტესი ნაწილი დაკმაყოფილებულია ან დღევანდელი მდგომარეობით პასუხის მოლოდინის რეჟიმში იმყოფება.

ყოველი კვირის ოთხშაბათს პირადად ვხვდები მოქალაქეებს ვეცნობი მათ საჭიროებებს და კომპეტენციის ფარგლებში ვუწევ შესაბამის დახმარებას. 2017 წლიდან დღემდე 3000-მდე მოქალაქესთან შედგა შეხვედრა. განხორციელდა 500-მდე სატელეფონო საუბარი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მყისიერად საჭიროებდნენ რეაგირებას.

მოქალაქეები მოგვმართავენ სხვადასხვა პრობლემატური საკითხების მოგვარების თხოვნით, აქედან ძირითადად იკვეთება სოციალური უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვისა და ინფრასტრუქტურული მოწყობის მიმართულებით არსებული საჭიროებები. გარდა ამისა პრობლემატურ საკითხებზე მყისიერად რეაგირების მიზნით წარმომადგენლობის თანამშრომლები ადგილზე ხვდებიან მოსახლეობას, ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას, თანამშრომლობენ სხვადასხვა სამსახურებთან რათა დასახლებაში არსებული პრობლემები მაქსიმალურად ოპერატიულად და სწრაფ ვადებში იქნას აღმოფხვრილი.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუხიანის დასახლებაში მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა: მთავარი გამზირის, წყალრინების ქსელის, არსებული სკვერებისა და ქუჩების აღდგენა-რეაბილიტაცია. ჩემს მიერ, დედაქალაქის მერთან; გლდანის რაიონის გამგელთან და შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ინტენსიურად ხორციელდებოდა მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონიტორინგი.

ინფრასტრუქტურული პროექტები

მუხიანი 2-ის ინფრასტრუქტურული მოწყობა: მუხიანი 2 -ის დასახლება, დედაქალაქს რამდენიმე წლის წინ შემოუერთდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მოწყობის კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობა უკვე წლებია ადგილობრივი მოსახლეებისთვის მოუგვარებელ პრობლემად იქცა. ჩემი აქტიური ჩართულობით, ქალაქის მერიის შესაბამისი სამსახურებისა და გლდანის გამგეობის თანამშრომლობით მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა მუხიანი 2-ის დასახლებაში წლების მანძილზე მოუგვარებელი პრობლემების აღმოსაფხვრელად. ქალაქ თბილისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ დასახლებაში განხორციელდა კომპლექსური ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დასრულდა გარდამავლი პროექტი, რომელიც რამდენიმე ეტაპად განხორციელდა: სამუშაოების ფარგლებში მოეწყო 1.2 კმ. სიგრძის ცენტრალური კოლექტორი. ვარდისუბნის ქუჩაზე, 2.5 კილომეტრზე მოეწყო 500 მმ. გარე ქსელი და 100 ერთეული ჭა. ქსელის მოწყობის სამუშაოებისათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 903 172 ლარი იქნა გამოყოფილი. პროექტის ბოლო ეტაპზე მოეწყო ვარდისუბნის, საზანოსა და ჟვანიას ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურა. აღნიშნული ქუჩებიდან საზანოსა და ჟვანიას ქუჩების მონაკვეთზე გზის რეაბილიტაცია უკვე დასრულდა. საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტი, რომლის განხორციელების შედეგად საბოლოოდ მოგვარდა ის პრობლემები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას წლების მანძილზე აწუხებდა. წყალრინების გარე ქსელი მოეწყო გურიისა და გამარჯვების ქუჩაზე,.

მუხაინი 2-ის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა ხშირად მოგვმართავენ ამა თუ იმ ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თხოვნით, რადგან აღნიშნულ დასახლებაში გზების გაუმართაობის გამო მოსახლეობისათვის გაძნელებულია ტრანსპორტით გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოიხრეშა გზები სადაც ხშირ შემთხვევაში მანამდე არანაირი საგზაო ინფრასტრუქტურა არ არსებობდა:

- ✓ გრემის ქუჩა, №:66 დან №:127 მდე გზისმონაკვეთი.
- ✓ მუხიანი 2, ტაძრის ქუჩა, გრემის ქუჩიდან დაისის ქუჩამდე გზის მონაკვეთი.
- ✓ მუხიანი 2, გრემის ქუჩის ბოლოდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის მონაკვეთი;
- ✓ გამარჯვების ქუჩა, საზანოს ქუჩიდან გურიის ქუჩამდე გზის მონაკვეთი. (მოშანდაკება) დატკეპნვა;
- ✓ მუხიანი 2, სამეგრელოს ქუჩა, რიკოთის ქუჩიდან იაკობისქუჩამდე;
- ✓ მუხიანი 2, რიკოთის ქუჩა, სამეგრელოს ქუჩიდან რიკოთის Iჩიხამდე;
- ✓ მუხიანი 2, ბორჯომის ქუჩის მონაკვეთზე(ტაძრის ქუჩიდან ნაკადულის ქუჩამდე);
- ✓ მუხიანი 2 , ნეკრესის ქუჩა

დუმბაძის გამზირი - მუხიანის დასახლებაში ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა გახლავთ, აღნიშნული გამზირის კეთილმოწყობა მოსახლეობის მოთხოვნას მრავალი წელია წარმოადგენს. დუმბაძის ქუჩაზე განხორციელდა მასშტაბური პროექტი, რომლის ფარგლებშიც სრულად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა: მოხდა სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია, მოეწყო ასფალტის საფარი, ბორდიურები და გზაგამყოფი ზოლი, რომელიც წარმოქმნის დამატებით გამწვანებულ სივრცეს დასახლებაში. პროექტი ჯამში 17 000 კვადრატულ მეტრს მოიცავს და მასზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 400 000 ლარი დაიხარჯება. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარე წლის ნოემბერში დასრულდება.

ავჭალა 1 (მუხიანის სამხედრო დასახლება) სრულად მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა: ავჭალა 1-ში მასშტაბური პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც სრულად მოწესრიგდა ცენტრალურ ქუჩებზე საგზაო ინფრასტრუქტურა. შედარებით რელიეფურ და რთულად მისადგომ მონაკვეთებზე კი მოხდა ბეტონის საფარის მოწყობა კერძოდ, ბრონშტეინის ქუჩაზე, დაახლოებით 1 440 კვ.მ ფართობზე, ასევე შეშელიძის №: 41-ის მიმდებარედ (კორინთას ქუჩა) - პროექტის თანახმად სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდა, პირველ ეტაპზე აღნიშნულ ქუჩაზე მოეწყო წყალრინების ქსელი, რის შემდეგაც დაახლოებით 750 კვ. მ ფართობზე ბეტონის საფარი. რეზო გაბაშვილის მესამე გასასვლელის №: 7-13-19 -ის მიმდებარედ - არსებულის გრუნტის ნაცვლად დაახლოებით 1 359 კვ. მ ფართობზე კაპიტალური ასფალტი მოეწყო.

მარატ ნოზაძის სკვერი - მუხიანში მოსასვენებელი სივრცეების მოწყობა აქტიურად ხორციელდება. ამ მიმართულებით ერთ-ერთი მასშტაბური პროექტი გახლავთ 2008 წლის ომის დროს დაღუპული გმირის , მარატ ნოზაძის სახელობის სკვერი, რომლის აღდგენა/რეაბილიტაცია ასევე ჩემი უშუალო ჩართულობით განხორციელდა. პროექტის ფარგლებში, 1 200 კვ. მ ფართობზე სკვერისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა განთავსდა და ტერიტორია გამწვანდა. ასევე სკვერში მოეწყო მარატ ნოზაძის მემორიალი, დამონტაჟდა გარე განათება და სარწყავი სისტემა.

მუხიანის IV ა მიკრო/რაიონში №: 1-4 კორპუსების მიმდებარედ, დუმბაძის გამზირის დასაწყისში, არსებული სკვერისა და მიმდებარედ ტერიტორიის რეაბილიტაცია განხორციელდა, სამუშაოების შედეგად 3 400 კვ. მ ფართობზე მოეწყო ბავშვთა გასართობის სივრცე, სარწყავი და გარე განათების სისტემები, განთავსდა სკვერებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, მათ შორის, მოსასვენებელი პავილიონი. სკვერის მოწყობისთვის გლდანის გამგეობის ბიუჯეტიდან 156 999 ლარი დაიხარჯა.

მუხიანის IV ა მ/რაიონის, 5-6-7 კორპუსების მიმდებარედ არსებულ სკვერს სრული რეაბილიტაცია ჩუტარდა, პროექტის ფარგლებში მოეწყო ბავშვთა გასართობი ზონები და მოსასვენებელი პავილიონი, ასევე დამონტაჟდა გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, განთავსდა სკვერისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

მუხიანის IV ბ მ/რაიონის, 34-ე კორპუსის მიმდებარედ ასევე განხორციელდა სკვერის აღდგენა-რეაბილიტაცია, მოეწყო სხვადასხვა სივრცე, მათ შორის ბავშვთა გასართობი ზონა, მოსასვენებელი პავილიონი, დამონტაჟდა გარე განათებისა და სარწყავი სისტემები. ტერიტორიაზე ჩატარდა გამწვანების სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე მცირე ზომის სკვერები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ✓ მუხიანის I მ/რაიონი, კორპ. №: 17-ის მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის II მ/რაიონი, კორპ. №22-ის მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის I მ/რ კორპ N8-9 მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის II მ/რ კორპ N 11, II-III სად.მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის IV ბ მ/რ კორპ N 29-ს მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის IV ბ მ/რ კორპ N 39მიმდებარედ;
- ✓ მუხიანი, შენგელიას ქუჩა N9
- ✓ მუხიანის III მ/რ, №: 19 – 22 მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის IV ბ მ/რ; №: 42-43-44 მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის IV ა მ/რ; №: 11-13-14 მიმდებარედ

სპორტული მოედანი:

- ✓ მუხიანი, IV ბ მ/რ კორპ # 42-43
- ✓ მუხიანი, IV ბ მიკრო/რაიონში მდებარე №: 32ა-35ა;
- ✓ მუხიანი II მ/რ; კორპ. 4
- ✓ მუხიანის III მიკრო/რაიონის პირველი კორპ. სავარჯიშო
- ✓ მუხიანი IV ბ მ/რ; 29-ე კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მუხიანი IV ბ მ/რ; 33-ე კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მუხიანი IV ა მ/რ; კორპუსების 12-13 მიმდებარედ;
- ✓ მუხიანი IV ბ მ/რ; 35ა კორპუსის მიმდებარედ;
- ✓ მუხიანი IV ა მ/რ; კორპუსების 3-4 მიმდებარედ.

ფიტნეს ზონები მოეწყო შემდეგ მისამართებზე:

- ✓ მუხიანი IV ა მ/რ კორპ #17ა;
- ✓ მუხიანი IV ბ მ/რ კორპ N38-39;
- ✓ მუხიანი I მ/რ კორპ N8-9 მიმდებარედ;
- ✓ მუხიანის IV ბ მ/რ; 42-ე და 43-ე კორპუსებს შორის;
- ✓ მუხიანი III მ/რ; კორპ. 5-6;
- ✓ მუხიანი II მ/რ; კორპ. 10-14;
- ✓ მუხიანი III მ/რ; კორპ. 10-14.

ავალიშვილის ქუჩა: ეს გახლავთ კიდევ ერთი ქუჩა მუხიანის დასახლებაში სადაც მოხერხდა მოსახლეობისათვის წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემის გადაჭრა, კერძოდ მოეწყო წყალრინების გარე ქსელი.

ხანგრძლივ სარგებლობაში არსებული ფართების საკუთრებაში გადაცემის საკითხი მუხიანის დასახლებაში IV ა მ/რაიონის, მე-10-ე კორპუსში უკვე წლებია ცხოვრობენ და ფლობენ საცხოვრებელ ფართებს მოქალაქეები, მათ მიერ განხორციელებულ იქნა მთელი რიგი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები ბინების საცხოვრებელ მდგომარეობამდე მიყვანისათვის. მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ჩემი აქტიური ჩართულობითა და დედაქალაქის მერთან კახა კალაძესთან ერთობლივი მუშაობით წლების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა უკვე მოგვარებულია, აღნიშნულ მისამართზე მცხოვრებ ექვსს ოჯახს ფაქტიურ მფლობელობაში არსებული ფართები სიმბოლურ ფასად 1-ლარად გადაეცათ, პირადად ადგილზე შევხვდი ამ ოჯახებს , მათ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

საკითხის შეთანხმების თაობაზე თბილისის საკრებულოს განკარგულება გავაცანი და გლდანის გამგებელთან ერთად საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები გადავეცით

მუხიანის დასახლებაში I მ/რაიონში „ა“ და „ბ“ კორპ. მიმდებარედ არსებულ შენობაში უკვე წლებია ცხოვრობენ მოქალაქეები, მითითებულ მისამართზე შეყვანილ იქნა კომუნიკაციები, განხორციელდა მაცხოვრებელთა ინდივიდუალური აბონირება. მოქალაქეების მომართვის საფუძველზე, ჩემი აქტიური ჩართულობითა და დედაქალაქის მერიასთან ერთობლივი მუშაობით, აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხი დადებითად გადაწყდა.

მუხიანში IV ბ მ/რაიონში კორპ. 32ა, ყოფილი სახლმართველობის შენობაში სოციალურად დაუცველი და იძულებით გადაადგილებული პირები 2008 წლიდან ცხოვრობენ და ითხოვენ ფაქტიურ მფლობელობაში არსებული ფართების საკუთრებაში დაკანონებას. მოქალაქეების მომართვის საფუძველზე აღნიშნულ ოჯახებს გაეწიათ შუამდგომლობა შესაბამის უწყებებთან. ასევე ზ/ხსენებულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხი დადაბითად გადაწყდა აქ მცხოვრები ოჯახებისათვის.

ჯანდაცვა და სოცილაური სფერო

სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსებისა და მედიკამენტებით უზრუნველყოფის მოთხოვნით არაერთმა მოქალაქემ მოგვმართა, აქედან უმრავლესობა დაკამყოფილდა სრულად, ნაწილი მოთხოვნილი თანხის 70%- ით. მაჟორიტარის შუამდგომლობით სამართლებრივი დახმარება გაეწია მრავალ სოციალურად დაუცველ მოქალაქეს, კერძოდ სტატუსის შეჩერების პროცედურულ საკითხთან დაკავშირებით. შემოსული წერილობითი და ზეპირი განცხადებების საფუძველზე მოხდა სოციალურად დაუცველი იმ მოქალაქეების პრობლემების გამოკვლევა და მოგვარება, რომელსაც შეუჩერეს სტატუსი ან ხელმეორედ გადამოწმების საფუძველზე მიანიჭეს მაღალი სარეიტინგო ქულა. ასევე ერთჯერადი მატერიალური დახმარებისა და ბინის ქირით უზრუნველყოფაზე, შუამდგომლობის თხოვნით არაერთმა სოციალურად დაუცველმა პირმა მოგვმართა განცხადებით, რომლებოც შემდგომი რეაგირებისთვის და შესაბამისი დახმარების აღმოსაჩენად გადაგზავნილ იქნა თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობაში. მუხიანის მაცხოვრებლთა სოციალურ პირობებს ადგილზე პირადად ვეცნობი, ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების სფეროა მრავალშვილიანი ოჯახების, სოციალურად დაუცველი, შშმ პირების მხარდაჭერა და მათი თანადგომა. კოვიდ 19-თან ბრძოლის პერიოდში

აქტიურად ვიყავი ჩართული სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების კამპანიაში. მთელი პანდემიის განმავლობაში ადგილზე პირადად ვაწვდიდი ნობათებს მუხიანში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებს (ოთხი და მეტი შვილი). დახმარების თხოვნით არაერთმა ოჯახმა მოგვმართა, აღნიშნულ კამპანიაში აქტიურად გახლდათ ჩართული კერძო სექტორი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემი ინიციატივით ჩატარდა რამდენიმე სამედიცინო აქცია, კერძოდ: მუხიანის მაცხოვრებელთათვის გაიმართა უფასო ოფთალმოლოგიური გამოკვლევების აქცია, კვლევები „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით ჩატარდა. ოფთალმოლოგიური პრობლემების მქონე პაციენტებს კვალიფიციური კონსულტაცია და თვალის სხვდასხვა დაავდებების (ახლომხედველობა, შორსმხედველობა, ასტიგმატიზმი) დიაგნოსტიკა კლინიკის პროფესიონალმა ექიმებმა ჩაუტარეს. პაციენტები, რომელთაც აღმოაჩნდათ გართულებული მდგომარეობა დაბარებულ იქნენ შემდგომი მკურნალობისთვის

ასევე ჩემი ინიციატივით მუხიანის მაცხოვრებლებს გაეწიათ უფასო სამედიცინო მომსახურეობა, რომლის ფარგლებში მოქალაქეებს ჩაუტარდათ ექიმის კონსულტაციები, მოხდა მათი გასინჯვა, მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა პროფილის გამოკვლევების დაგეგვმა, შემდგომ დიაგნოზის დასმა და მკურნალობის დანიშვნა. კონსულტაციები ადგილობრივ მცხოვრებლებს უშუალოდ მაჟორიტარის წარმომადგენლობაში გაეწიათ და ჩვენს მიერ მოხდა საჭიროების მქონე ბენეფიციარების მოძიება და შემდეგ აღნიშნული აქციის ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში ჩემი ინიციატივით ჩატარდა სხვადასხვა სოციალურ, საქველმოქმედო, შემოქმედებითი ღონისძიებები. აღდგომის დღესასწაული პირადად მივულოცე მუხიანში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს და საჩუქრები გადავეცი მათ.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები და განათლება

მუხიანში ამ დროისთვის ოთხი საბავშვო ბაგა-ბაღი ფუნქციონირებს, თუმცა უკვე წლებია დასახლების ხუთივე მიკრო რაიონის მოსახლეობის მოთხოვნას წარმოადგენს დამატებით სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მშენებლობა, რადგან მაღალი მოთხოვნისა და მომართვიანობის გამო საბავშვო ბაგა ბაღებში მუდმივად ფიქსირდება ადგილების დეფიციტი. ა (ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს გადაწყვეტილებით მუხიანში აშენდა დამატებით კიდევ ერთი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება შემდეგ მისამართზე:

- მუხიანის პირველი მ/რაიონი № 184 ბაგა-ბაღის მიმდებარედ (ს/კ 01.11.17.004.314)

მიმდინარე წლის მანძილზე კოვიდ-რეალობიდან გამომდიარე საქმიანობა ძირითდად გვიწევდა ონლაინ რეჟიმში, თუმცა აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად დისტანციურად მუდმივად ვიყავით ჩართული ყველა იმ პრობლემის მოგვარებაში რაც ადგილობრივ მოსახლეობას აწუხებდა.